პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 201 (4711)

1972 წ. 10 ოქტომბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრები კრემლში, საკავშირო პროფსაბჭოში, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

# ოლიმპიელთა სადიდებლად

8 ოქტომბერს კრემლში სახელოვან საბჭოთა ოლიმპიელებს მიუნხენში მოპოვებული წარმატებებისთვის მთავრობის ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. შუმაუსკასმა. იმ დღეს მათ კიდევ რამდენიმე სასიხარულო შეხვედრა ელოდათ.

სსრ კავშირის მთავრობამ საბჭოთა ოლიმპიელი სპორტსმენების პატივსაცემად მიღება მოაწყო. მიღებას დაესწრნენ ამხანაგები ბ. პონომარიოვი, ი. კაპიტონოვი, სსრ კავშირის მინისტრები, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა საბჭოთა სპორტის განვითარებისთვის ყოველდღიური ზრუნვის გამო შეკრებილთა სახელით გულითადი მადლობის სიტყვებით მიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

იმავე დღეს საკავშირო პროფსაბჭოში გაიმართა შეხვედრა მიუნხენის XX ოლიმპიადაში გამარჯვებულებთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. შელეპინმა გულითადად მიულოცა ოლიმპიელებს და ახალი წარმატებები უსურვა საბჭოთა სპორტის განვითარებაში.

თამაშებში თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისთვის საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ოლიმპიადის ჩემპიონები და პრიზიორები პროფსაბჭოს სიგელებით დააჯილდოვა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებმა ა. ბირიუკოვამ, ვ. ბოგატიკოვმა, ი. ვლადიჩენკომ, ლ. ზემლიანიკოვამ, ვ. პროხოროვმა, ნ. რომანოვმა, ს. შალაევმა.

XX ოლიმპიადის გმირები და მათი მწვრთნელები სტუმრად იყვნენ საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა ოლიმპიადის ჩემპიონებსა და პრიზიორებს მიულოცა დიდი წარმატებები, 30 მილიონი კომკავშირელისა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი წარმატებები სამშობლოს სადიდებლად.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები შეტანილია კომკავშირის საპატიო წიგნში. სპორტსმენთა და მწვრთნელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია კომკავშირული ნიშნით „სპორტული მამაცობა" და ნიშნით „კომკავშირში აქტიური მუშაობისთვის", საპატიო სიგელებით და სამახსოვრო მედლებით. დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს წარმომადგენლებიც. ვ. სანეევმა კომკავშირული ნიშანი მიიღო. საპატიო ნიშნებით „სპორტული მამაცობა" დაჯილდოვდნენ ვ. კრატასიუკი, ლ. თედიაშვილი, შ. ჩოჩიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით მიუნხენის XX ოლიმპიადაში გამოჩენილი ოსტატობისთვის, მამაცობისთვის, მტკიცე ნებისყოფისთვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში შეტანილია სპორტის დამსახურებული ოსტატების, XX ოლიმპიადის ჩემპიონების შ. ჩოჩიშვილის, მ. ქორქიას, ზ. საკანდელიძისა და ვ. კრატასიუკის გვარები.

# დასკვნითი ტურის წინ

გასულ შაბათს ბაქოში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ჯგუფური ტურნირი. იმ დღეს უნდა გამართულიყო ორი მატჩი: კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია — ვოლგოგრადის „სპარტაკი" და მოსკოვის უნივერსიტეტი — მოსკოვის „ტორპედო". მეორე მატჩი არ შემდგარა, იგი ამ დღეებში მოსკოვში ჩატარდება. ამის შემდეგ იქვე, 25-30 ოქტომბერს, გაიმართება ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი.

რაც შეეხება ბაქოს ბოლო ტურის ერთადერთ მატჩს, იგი მასპინძლებმა მოიგეს. მათ ანგარიშით 4:3 სძლიეს ვოლგოგრადის „სპარტაკს".

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საჭყლოსნო სპორტული კლუბი | 13 | 11 | 1 | 1 | 68—49 | 23 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 12 | 10 | 2 | 0 | 69—47 | 22 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 5 | 4 | 4 | 55—51 | 14 |
| „დინამო" (თბილისი) | 13 | 5 | 3 | 5 | 61—61 | 13 |
| „დინამო" (კიევი) | 13 | 5 | 3 | 5 | 55—57 | 13 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) | 13 | 3 | 5 | 5 | 53—54 | 11 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 13 | 2 | 6 | 5 | 48—59 | 10 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 12 | 2 | 4 | 6 | 45—55 | 8 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 13 | 3 | 1 | 9 | 47—56 | 7 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 13 | 3 | 1 | 9 | 49—61 | 7 |

# ერთპიროვნული ლიდერები




სკოპლე, 8 ოქტომბერი. იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარ ფინალში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები I ადგილზე გავიდა. საბჭოთა მოჭადრაკეები X ტურში დანიის ნაკრებს შეხვდნენ და უკვე შესვენებისთვის დაწინაურდნენ (2,5:0,5). ტალმა კარგ სტილში დაამარცხა ჰოლმი, კარპოვმა მოუგო ენევოლდსენს, სავონმა კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პედერსენთან. გადადებულ პარტიაში კორჩნოის იაკობსენთან გამარჯვების კარგი შანსი აქვს. საბჭოთა გუნდმა 27 ქულა დააგროვა და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა, რომლებიც დიდხანს ლიდერობდნენ ფინალურ შეჯიბრებაში, II ადგილზე გადაინაცვლეს. მათ 25,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვთ. მორიგ ტურში მასპინძლები დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს ხვდებოდნენ (ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა — 1:1). ყაიმზე შეთანხმდნენ დარგა (გფრ) — ივკოვი, ფლეგერი (გფრ) — ლიუბოევიჩი. ურთიერთობა უნდა გაარკვიონ: ჰიუბნერმა გლიგორიჩთან (იუგოსლავია) და ჰეკტმა (გფრ) მატანოვიჩთან.

მოგვყავს X ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: არგენტინა — ჰოლანდია — 1,5:0,5 (2 პარტია გადადებულია), უნგრეთი — აშშ — 2:1 (1), გდრ — შვეიცარია 0:0 (4), რუმინეთი — ესპანეთი — 0,5:0,5 (3), ჩეხოსლოვაკია — ბულგარეთი — 2,5:1,5, პოლონეთი — შვეცია — 1,5:1,5 (1).

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეებს მიჰყვებიან შემდეგი კოლექტივები: უნგრეთი — 25,5 (1), ჩეხოსლოვაკია — 22, გფრ — 21,5 (2), ბულგარეთი — 21, რუმინეთი — 21 (3), ესპანეთი — 19 (3), აშშ — 19 (1), ჰოლანდია — 18,5 (2), პოლონეთი — 16,5 (1), არგენტინა — 16 (2), შვეცია — 16 (1), გდრ — 15 (4), დანია — 13,5 (1), შვეიცარია — 10 (4).

მორიგ ტურში შედგება მატჩი, რომელზეც ბევრად იქნება დამოკიდებული ოლიმპიადაში ადგილების განაწილება. მაგიდებს მიუსხდებიან საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეები.

ქალთა შეჯიბრებაში კვლავ მტკიცედ ლიდერობენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ჩეხოსლოვაკიის გუნდთან საყაიმო შედეგია — 1:1. გაფრინდაშვილი იძულებული იყო ყაიმს დასჯერებოდა ვოკრჟალოვასთან შეხვედრაში, კუშნირი კი ერეტოვასთან. საბჭოთა გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეში დარჩა 6,5 ქულით. უნგრეთის მოჭადრაკეებმა, რომლებიც ლიდერს მისდევენ, V ტურში რუმინელებთან ერთი პარტია წააგეს (ივანკა დამარცხდა პოლიქრონიადესთან), ერთი პარტია კი გადადებულია. უნგრეთის კოლექტივს 4,5 ქულა აქვს. III ადგილზეა გფრ-ის გუნდი — 4,5 ქულა.

სკოპლე, 9 ოქტომბერი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟებმა განიმტკიცეს სალიდერო მდგომარეობა. საბჭოთა კავშირისა და დანიის მატჩის გადადებული პარტიის დამთავრებისას დიდოსტატმა კორჩნოიმ დაამარცხა იაკობსენი და საბჭოთა ნაკრებმა მატჩი მოიგო ანგარიშით 3,5:0,5. ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა 28 ქულა დააგროვეს. II ადგილზე მყოფი იუგოსლავიის გუნდი ლიდერს 1,5 ქულით ჩამორჩება. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ მასპინძლებმა ყაიმით (2:2) დაასრულეს მატჩი გფრ-ის მოჭადრაკეებთან. III ადგილზეა უნგრეთის ნაკრები — 26 ქულა.

# ბოლო მატჩი

გუშინწინ მონინოში გაიმართა რეგბისტთა VI საკავშირო ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა: შარშანდელმა ჩემპიონმა — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა გამოტოვებულ მატჩში შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორს — ლენინგრადის „ბურევესტნიკს" უმასპინძლა.

გაგარინელთა საუკეთესო ბომბარდირმა ვინოგრადოვმა მე-8 წუთზე საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. მან ამ შეხვედრაში თავის გუნდს კიდევ 6 ქულა შესძინა (სულ სეზონში ვინოგრადოვის ანგარიშზეა 33 ქულა). სამხედრო-საჰაერო აკადემიის სპორტსმენებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 28:9.

ამრიგად, გაგარინელები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის „ლოკომოტივმა," რომელიც თავიდანვე საპრიზო ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა და საბოლოოდ III ადგილი დაიკავა.

როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ბოლო წლებში საქართველოს რეგბისტებმა თამაშის კლასი საგრძნობლად აიმაღლეს, ამიტომ არც „ლოკომოტივის" ბრინჯაოს მედლები გაჰკვირვებია ვინმეს, არც თბილისის „დინამოს" საუკეთესო თამაში II ჯგუფის გუნდების ტურნირში, სადაც თბილისელებმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს და გაისად I ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ქვეყნის ჩემპიონობა დაიბრუნა მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" კოლექტივმა, რომელიც სსრ კავშირის დედაქალაქის ტაქსომოტორების პარკების მექანიკოსებმა და შოფერებმა 1967 წელს შექმნეს, ორი წლის შემდეგ I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს და ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს, 1970 წელს კი ვერცხლი ოქროთი შეცვალეს.

ფეხბურთელთა ენაზე რომ ვთქვათ, წლეულს ყველაზე მეტი ბურთი (198) გაგარინელებმა გაიტანეს (თვითონ 92 მიიღეს), მაგრამ საბოლოოდ ისინი „ფილის" ქულით ჩამორჩნენ და ჩემპიონები ექს-ჩემპიონებად იქცნენ.

VI ჩემპიონატში „ფილის" წარმატება, როგორც გუნდის მოთამაშე მწვრთნელმა, 28 წლის ბ. გავრილოვმა აღნიშნა, „სტოპერების" ე. ისიანოვის, ე. ნეკრასოვისა და ბ. იუდინის კარგმა თამაშმა განაპირობა. „გატანილი ბურთების" მიხედვით, მეორე შედეგი (169) ჩემპიონატის დებიუტანტს — კიევის „სპარტაკს" აქვს. სწორედ ამ გუნდის მოთამაშე მწვრთნელი ი. ბიროულია გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. მის პირად ანგარიშზე 75 ქულა მოდის.

ჩემპიონატი ბოლო მატჩის დამთავრების შემდეგ დაიხურა. რეგბის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, დამსახურებულმა მფრინავ-გამომცდელმა ვ. ილიუშინმა, რომელიც დახურვაზე მოვიდა, წლევანდელი ჩემპიონატი კარგად შეაფასა: თამაშების ორ წრედ გამართვამ გუნდებს მთელი ძალის გამოვლენის საშუალება მისცაო.

ახლა აშკარაა, რომ წამყვანი გუნდების ფიზიკური და ტაქტიკური მომზადების დონე დიდად არ განსხვავდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ VII ჩემპიონატი, რომელიც გაისად გაიმართება, ამ სხვაობას კიდევ უფრო შეამცირებს და საშუალება გვექნება საუკეთესო კოლექტივები საერთაშორისო სარბიელზე გამოვცადოთ.

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფილი" (მოსკოვი) | 14 | 11 | 1 | 2 | 168:62 | 23 |
| სამხედრო-საჰაერო აკადემია | 14 | 10 | 2 | 2 | 198:92 | 22 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 14 | 9 | 0 | 5 | 157:125 | 18 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 14 | 6 | 4 | 4 | 141:142 | 16 |
| „სპარტაკი" (კიევი) | 14 | 4 | 1 | 9 | 169:141 | 9 |
| მსი | 14 | 4 | 1 | 9 | 109:149 | 9 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 14 | 3 | 3 | 8 | 109:262 | 9 |
| „დინამო" (კიევი) | 14 | 2 | 2 | 10 | 102:180 | 6 |

# დიდოსტატთა ოჯახმა იმატა

სკოპლე, 9 ოქტომბერი. ვაჟთა მთავარი ფინალური ტურნირის 11 ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს 29,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. უნგრელები მას ქულით და ერთი გადადებული პარტიით ჩამორჩებიან. III ადგილზეა იუგოსლავიის გუნდი — 27 ქულა და 2 დაუმთავრებელი შეხვედრა.

XI ტურში ყურადღების ცენტრში იყო იუგოსლავიისა და სსრ კავშირის მატჩი. სმისლოვმა ამ ოლიმპიადაში პირველი წაგების სიმწარე განაცდევინა ლიუბოევიჩს, ტალი კი მატულოვიჩს დაუზავდა. გადადებულ პარტიებში გლიგორიჩს ზედმეტი პაიკი აქვს პეტროსიანთან, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, ეს პარტიაც და ივკოვ — კორჩნოის შეხვედრაც ყაიმით დამთავრდება.

უნგრელები დაწინაურდნენ ესპანელებთან მატჩში — 2,5:0,5. რიბლიმ მოუგო მედინას, ჩომმა — ვიზიერს, ბილეკმა კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დიეზ დე კორალთან.

XI ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: შვეცია — ჰოლანდია 1,5:1,5 (1), შვეიცარია — პოლონეთი 1:2 (1), ჩეხოსლოვაკია — გდრ 1:1 (2), დანია — ბულგარეთი 1,5:1,5 (1), აშშ — გფრ 1:2 (1), არგენტინა — რუმინეთი 0,5:3,5 (გაიმარჯვეს გეორგიუმ, ჩოკილტიამ და გიძავუმ).

ქალთა მთავარი ფინალის V ტურში სსრ კავშირის გუნდმა მოუგო გდრ-ის ნაკრებს — 1,5:0,5. ლევიტინამ დაამარცხა პოლცლიაინი, გაფრინდაშვილი კი იუსტს დაუზავდა. ახლა საბჭოთა გუნდს 8 ქულა აქვს, II ადგილზე მყოფ უნგრეთის ნაკრებს კი 5,5.

კვირას აქ დაწყებულმა ფიდე-ს კონგრესმა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა ვ. ტუკმაკოვს (სსრ კავშირი), ი. რადულოვს (ბულგარეთი), ი. სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია), ა. პლაჩინცს (იუგოსლავია), უ. ანდერსონს (შვეცია) და ენრიკე-კოსტა მეკინგს (ბრაზილია).

მოჭადრაკეთა ჯგუფს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. ამ ჯგუფშია ოდესელი მ. პოდგაეციც. ეს წოდება ხუთ ქალს მიენიჭა, მათ შორის მ. შულს, ა. ეპშტეინსა და ნ. ლევიტინას (ყველა — სსრ კავშირი).

27 მსაჯმა საერთაშორისო არბიტრის წოდება დაიმსახურა.

# მიუნხენის ოქროს წვიმა

## 7. მორელონი მართლაც საოცრებაა!

მიუნხენის ველოტრეკი ოლიმპიკ პარკის ტერიტორიაზე იყო და მთავარი სტადიონიდან იქ მისვლა სულ რამდენიმე წუთში შეიძლებოდა. ველოსიპედისტთა ასპარეზობა სპრინტერებმა გახსნეს. შეჯიბრების დაწყებამდე ხალხით სავსე ტრიბუნებზე მხოლოდ ეს გვარები ისმოდა: მორელონი, კრავცოვი, პედერსენი, ფხაკაძე, ფრედბორგი, ვან დორნი. ეს სპორტსმენები ფავორიტები იყვნენ და სწორედ მათს ბრძოლას უნდა გაერკვია ჩემპიონობისა თუ საპრიზო ადგილების ბედი. თუმცა მათს მეტოქეობაში სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც ჩაერივნენ. საოცრად მომხიბვლელი სანახაობა იყო.

პირველი სტარტი: დ. მორელონი (საფრანგეთი), ჰ. ედვარდსი (ბარბადოსი), ს. ჰიარასაპავონგი (ტაილანდი). მსოფლიოსა და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი მორელონი სტარტზე არც ცდილა დაწინაურებას. წინ გაუშვა მეტოქეები და მათს ლანდს გამოუდევნა. როცა ბოლო წრის მაუწყებელი ზარის ხმა გაისმა, არც მაშინ აჩქარებულა. და აი, ფინიშამდე სულ რაღაც 15 მეტრი დარჩა. ფრანგი მეტოქეებზე უკან იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს სასწაულებრივი ბიძგით ფინიშთან პირველი მიიჭრა.

პირველი სტარტიდან ფინალურ შეხვედრამდე ვერ იტყოდი, მოიგებდა თუ არა მორელონი რბოლას. იგი მუდამ უკან მიდიოდა, სანამ ფინიშის ხაზამდე 5 მეტრი არ დარჩებოდა. მათემატიკური სიზუსტით ჰქონდა გაანგარიშებული ყველაფერი, იცოდა, სად წამოსწეოდა მეტოქეს და სად გაესწრო...

როგორი ინტერესით ველოდით, როდის დადგებოდნენ ერთად სტარტზე ფრანგი და ჩვენი ომარ ფხაკაძე, რომელმაც წარმატებით გაწვლო პირველი რბოლები, მოუგო პოლონელ ა. ბეკს, თუმცა მეორე სტარტი წააგო, მაგრამ მესამეში ისე ჩამოიტოვა მეტოქე, რომ პოლონელმა ფინიშამდე ოციოდე მეტრის დაშორებით თითქმის შეწყვიტა ბრძოლა.

სალამოსთვის სარბიელს 18 სპორტსმენი შემორჩა. ფხაკაძესთან ერთად სტარტზე დადგნენ ჩეხოსლოვაკიელი ვ. ვაკარი და მასპინძელი კ. კიოტერი. პირველი რბოლა შეწყდა გერმანელის წაქცევის გამო. არც მეორეში მოხერხდა რბოლის დამთავრება. მეტოქეები მესამედ მოეწყვნენ სტარტზე. ფხაკაძემ ყველასთვის მოულოდნელად სიჩქარე ადრე ჩართო და მას ვეღარავინ დაეწია.

დამარცხდა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ს. კრავცოვი. როცა გონგის ხმა გაისმა, მეტოქეებმა — ჰოლანდიელმა ბალკმა და პოლონელმა ბეკმა ყველა გზა გადაუჭრეს, ასე ვთქვათ, მარწუხებში მოიმწყვდიეს და ასპარეზობიდან გამოთიშეს საბჭოთა სპრინტერი.

მეოთხედფინალის მონაწილეები ასე დაწყვილდნენ: მორელონი — ვან დორნი (ჰოლანდია), ჯ. ნიკოლსონი (ავსტრალია) — ნ. ფრედბორგი (ჰოლანდია), ი. გიოშკე (გდრ) — კ. ბალკი (ჰოლანდია) და ო. ფხაკაძე — მ. მარინო (იტალია). ქართველმა სპორტსმენმა ადვილად სძლია იტალიელს, რომელიც მასზე გამოუცდელი და ახალგაზრდა იყო. გაიმარჯვეს, აგრეთვე, მორელონმა, ნიკოლსონმა და ბალკმა.

ნახევარფინალი. მორელონი — ბალკი. ერთი შეხედვით, ბრძოლა თითქოს დაძაბული იყო. თავიდან მეტოქეები არ ცდილობდნენ დაწინაურებას, რამდენჯერმე სიურპლიასიც (ადგილზე დგომა) გააკეთეს. როცა გასავლელი დარჩა ბოლო 200 მეტრი, ბალკმა სწრაფი ბიძგით უკან ჩამოიტოვა მორელონი. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ფრანგი ერთი წამით თითქოს ვერ გაერკვა, შემდეგ კი მაქსიმალური სიჩქარე ჩართო და მეტოქეს გამოედევნა. მაყურებლის ტრიბუნებს გაოცების ხმა აღმოხდა, როცა ფინიშამდე ოციოდე მეტრი დარჩა და მორელონი კი კვლავინდებურად მდევრის როლში იყო. მაგრამ მორელონი რის მორელონია, თუ ასეთი განსაცდელისგან თავს არ დაიძვრენდა. 15, 10, 5 მეტრი, ფინიშის ხაზი. ფრანგმა სპრინტერმა სწრაფი ბიძგი გააკეთა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მეტოქეებმა ერთდროულად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, გამარჯვებული ფოტოფირს უნდა დაესახელებინა.

მაგრამ ეს რა ხდება? გასცდა თუ არა ფრანგი ფინიშის ხაზს, წამსვე მარჯვენა ხელი აღმართა და ტრიბუნებზე ტაშმა იგრიალა. აი, რას ნიშნავს სპორტული ალღო: უცხობი თვალისთვის შეუმჩნეველი, მორელონისთვის ნათელი იყო, იგრძნო, რომ აჯობა ჰოლანდიელს.

საასპარეზოდ ფხაკაძე და ნიკოლსონი რომ გამოვიდნენ, არა მგონია ბევრი დაეჭვებულიყო ჩვენი თანამემამულის გამარჯვებაში. როცა სტარტის ხაზზე ერთმანეთის მხარდამხარ მეტოქეები დადგნენ, იფიქრებდი, რომ არ შეიძლებოდა ამ მთაკაცის, ომარის დამარცხება, რომელიც მეტოქეზე გამოცდილიც იყო და სახელოვანიც. ეტყობა, ავსტრალიელს მაჯა ლებად აღელვებდა, რომ სტარტზე გამოსვლისთანავე ფხაკაძეს მაყურებლებმა ოვაცია გაუმართეს. სპორტსმენები ადგილიდან ნელა დაიძრნენ, არც შემდეგ უბრძოლიათ დაწინაურებისთვის. როცა საკმაო მანძილი განვლეს და უკვე ბოლო წრის მაუწყებელი ნიშანი უნდა მიეცათ, ნიკოლსონი გადაელობა მეტოქეს და წინ გაჭრის საშუალება არ მისცა: საითაც კი სცადა ფხაკაძემ გვერდის ავლა, ყველგან გზა გადაუჭრა ავსტრალიელმა. მან ზედ ფინიშის ხაზთან ოდნავ აჯობა ფხაკაძეს. მეორე სერიაც ავსტრალიელის გამარჯვებით დამთავრდა. ფხაკაძეს ბრინჯაოს მედლისთვის უნდა ეზრუნა.

ფხაკაძე — ბალკი. აუცილებელი გახდა სამივე სერიის ჩატარება. პირველ სერიაში ომარმა ოდნავ დააყოვნა და მეტოქემ ზედ ფინიშთან გაასწრო. მომდევნო რბოლები ქართველმა სპორტსმენმა ტაქტიკურად სწორად წარმართა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

მორელონმა ნიკოლსონს სძლია და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

მორელონი მართლაც საოცრებაა!

**ზ. ჯაფარიძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნხენი — თბილისი.

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — დ. მორელონი დაწინაურდა, მაგრამ სულ მალე ისევ წინ გაუშვებს მეტოქეებს ჰ. ედვარდოსსა და ს. ჰიარასაპავონგის; ო. ფხაკაძე სტარტზე.

გ. აკოფოვის ფოტოები.

## სპორტული დიპლომატიის კრახი

როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ დაადგინა, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებს მონრეალი (ზაფხულისას) და დენვერი (ზამთრისას) უმასპინძლებდნენ, ევროპელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: კანადა მეორეხარისხოვანი ქვეყანაა სპორტში, შეერთებული შტატები კი ზამთრის კლასიკურ სახეობებში მაინცდამაინც არ ბრწყინავს. სოკ-ის გადაწყვეტილება მით უფრო გაუგებარი იყო, რომ უარი ეთქვა მოსკოვს, რომლის კანდიდატურასაც დელეგატები პერსპექტიულად მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, სოკ-ის სესიაზე საკულისო მოსაზრებები და ინტრიგები მიიღეს მხედველობაში. ბრენდეჯისა და მისი კომპანიის გადაწყვეტილების აბსურდულობას ყველა ამჩნევდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს.

გავიდა ცოტა ხანი და მსოფლიოს სენსაციური ცნობა მოედო: თურმე დენვერის კანდიდატურის გატანა სოკ-ის სესიაზე გაცილებით უფრო იოლი საქმე ყოფილა, ვიდრე უბრალო ამერიკელთა დარწმუნება იმაში, რომ შეერთებულ შტატებს აგრერიგად სჭირდება ზამთრის ოლიმპიადა. სრულიად მოულოდნელად, წინააღმდეგობებისა და აბსურდების კლასიკურ ქვეყანაში გრანდიოზული სკანდალი წარმოიშვა.

ეს სკანდალი ნაკლებად ცნობილი ჟურნალის „კოლორადო მეგეზინის" ფურცლებზე დაიწყო. ჟურნალისტმა მ. ჰასტინგსმა ერთ-ერთ ნომერში პასუხი გასცა მკითხველის შეკითხვას: „რატომ იყო აუცილებელი ასე ძვირად ღირებული სპორტული სპექტაკლის ამერიკაში დადგმა, იმ დროს, როცა უამრავი გადაუჭრელი სოციალური პრობლემა არსებობს?".

გაწაფულმა ჟურნალისტმა სულ ადვილად გამოარკვია, რომ ამსტერდამის სესიის წინ დენვერი სოკ-ის 28 წარმომადგენელმა ინახულა. ისინი შეერთებულ შტატებს ოჯახებით ესტუმრნენ. სოკ-ის დელეგაციის ჩასვლის მიზანი იყო ინფორმაციის შეგროვება დენვერზე, მაგრამ ჰასტინგსმა დაადგინა, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ტურისტული მოგზაურობა რიგით ამერიკელებს 45 ათასი დოლარი დაუჯდათ. ეს კი ნიშნავდა, რომ ყოველი ხმა ამერიკელებმა ამსტერდამში დაახლოებით 1600 დოლარად იყიდეს. თანხა არც ისე დიდია, მაგრამ ქრთამის მიცემის ასეთი საშუალება გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა გასამრჯელოს „ლურჯ ბარათებში" ჩადებაზე.

ჰასტინგსის აღმოჩენამ რევოლუცია მოახდინა კოლორადოს შტატის მკვიდრთა შორის. და აი, ევერგრინისა და ლავლენდის (დასახლებული პუნქტები, სადაც ძირითადი ოლიმპიური ბატალიები უნდა მოეწყოს) მოსახლეობა აღსდგა თავისი უფლებების დასაცავად. ისინი მოითხოვენ მიდამოს ხელშეუხებლობას, რათა ზამთრის ტურიზმი შტატში მთლიანად არ ჩაკვდეს.

წინააღმდეგობის ძალა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ერთხანს დაისვა კიდეც თამაშების სტიმბოუტსპრინგსში გადატანის საკითხი. მაგრამ ამ ღონისძიებას თავისი ნაკლიც ჰქონდა. ოლიმპიადის დენვერიდან გადატანა იმას ნიშნავდა, რომ სპორტსმენებს, სულ ცოტა, 4-5 საათით გაუჭიანურდებოდათ მგზავრობა ოლიმპიური სოფლიდან შეჯიბრებების ადგილებამდე. სპორტსმენების აზრს სოკ-ი იშვიათად უწევს ანგარიშს, ამიტომ მას ადვილად შეეძლო თავისი ახალი წინადადების გატანა, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს რეფორმა ორგანიზატორებს დამატებით მილიონებს წაართმევდა (საჭირო გახდებოდა ახალი ავტოსტრადების, აეროდრომების, საცხოვრებელი სახლების, ხიდების დაპროექტება და აშენება).

ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს და ბოლოს პირვანდელი პროექტი ძალაში დარჩა. ახლა ამერიკელებს აინტერესებთ, რამოდენა იქნება ზარალი ოლიმპიადის შემდეგ. ყველამ კარგად იცის, რომ დენვერს იმდენი მონაწილე და ტურისტი ვერ ეწვევა, რამდენიც ინსბრუკსა (1964 წ.) და გრენობლში (1968 წ.) ჩავიდა.

დაიწყო ოლიმპიური სამზადისის ახალი ეტაპი, რომლის შედეგებს წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ამ შინაგანი წინააღმდეგობის შედეგი, ერთი რამ ცხადია: დენვერი ოლიმპიადების ისტორიაში დარჩება, როგორც სპორტული დიპლომატიის მთლიანი კრახის ტრაგიკული ძეგლი.

**„ლელოს" მიმომხილველი.**

## ფრანგული კოლონია

საფრანგეთის სპორტული დელეგაციის ყველა წევრი ოლიმპიურ სოფელში არ ცხოვრობდა. დელეგაციის ორმოცამდე ხელმძღვანელისა და თანმხლები პირისთვის გამოყოფილი იყო სასტუმრო სოფლიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით ამ სასტუმროში მოეწყო რადიოსატელეფონო სადგური, რომელსაც დელეგაციასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა დამყარებული. სადგურის მეშვეობით საფრანგეთის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელები დაკავშირებული იყვნენ ოცდაათ მიმაგრებულ ავტომანქანასთან. ეს მანქანები თავმოყრილი იყო სპეციალურ ავტოპარკში, რომელიც ფრანგებმა ოლიმპიადის დღეებში დაიქირავეს. მანქანებს მართავდნენ დასავლეთ გერმანიაში მყოფი ფრანგი სამხედრო მოსამსახურეები.

## უფლისციხეში

ამას წინათ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრამ და სპორტკლუბმა მოაწყვეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: გორი —უფლისციხე— გორი. ლაშქრობაში ჩაებნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი. ღონისძიებაში 300-მდე კაცი მონაწილეობდა.

უფლისციხის ისტორიულ წარსულზე და არქეოლოგიურ გათხრებზე ისაუბრა ინსტიტუტის რექტორმა ი. ბერძნიშვილმა. ლაშქრობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს უფლისციხის ქვაბულები, დარბაზები, კლდეში ნაკეთი გვირაბები...

აქვე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები. სტუდენტთა დიდმა ნაწილმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები ხელყუმბარის ტყორცნასა და ტურისტულ ლაშქრობაში.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).
**გ. ანიკაშვილი,**
ფიზიკური აღზრდის მეთოდიკისა და თეორიის კათედრის გამგე.

გორი.

# ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

## ახალი აუზი

ასტრახანის ცენტრში გაიხსნა ზამთრის სასწავლო-საცურაო აუზი „მალიში". აქ 6-10 წლის ბავშვებთან მეცადინეობა მთელი წლის მანძილზე არ შეწყდება.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ყოველ თვეში ცურვას 800-მდე ბავშვი ისწავლის.

## მეშახტეთა კროსი

მძლეოსანთა ტრადიციულ საშემოდგომო კროსში მონაწილეობდა 20 ათასზე მეტი მეშახტე — ყარაგანდის ქვანახშირის აუზის სპორტსმენები. ასპარეზობა ორ ეტაპად ჩატარდა: ჯერ საწარმოებში გაიმართა შეჯიბრებები, მერე კი საუკეთესონი ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს კომბინატ „ყარაგანდაუგოლის" შახტ „სტახანოვსკაიას" მძლეოსნებმა.

## მთელი წლის მანძილზე საჭესთან

ტაჯიკეთის ფიზკულტურელებმა შესანიშნავი სპორტული ბაზა მიიღეს — ლენინაბადში მწყობრში ჩადგა ახალი ველოტრეკი. ბაზის ტექნიკური და საექსპლოატაციო მონაცემები, აგრეთვე, ბეტონის საფარის ხარისხი ძალიან მოიწონა სახელმწიფო კომისიამ.

ველოტრეკი ულამაზესი სირ-დარიის ნაპირზეა აგებული, ლენინაბადელთა დასვენების ზონაში. მდინარისა და მწვანე მასივის სიახლოვე თავისებურ მიკროკლიმატს ქმნის — ტრეკზე ვარჯიში და ასპარეზობა მთელი წლის მანძილზე შეიძლება.

## უნივერსიტეტის გუნდი ფინალში გავიდა

ჩელიაბინსკში მოეწყო საკავშირო საჭადრაკო უნივერსიადის ნახევარფინალი, რომელშიც მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა. II ადგილზე არიან რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრაკეები. ამ ორმა გუნდმა ფინალის საგზურები მოიპოვა.

ლენინგრადის უნივერსიტეტის გუნდი, რომელშიც დიდოსტატი ა. კარპოვი არ გამოდიოდა (იგი მსოფლიოს ოლიმპიადაში მონაწილეობს), III ადგილზე დარჩა.

# მეთოდზე მაჩვენებელი

ლუბენსკის გამომთვლელი მანქანების ქარხანაში სამუშაო დროის დაახლოებით 3,5 პროცენტი საწარმოო ტანვარჯიშს ეთმობა. მაგრამ ეს „დანაკარგი" ჭარბადაა ანაზღაურებული: შრომისნაყოფიერება 15 პროცენტით გაიზარდა.

ქარხნის დირექტორმა მ. სტრელეცმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც საამქროებისა და განყოფილებების უფროსებს ავალდებულებს ყველა პირობა შექმნან ფიზკულტურული მეცადინეობისთვის. სპორტი ხომ ჯანმრთელობის წყაროც არის და წარმატებით შრომისაც.

ქარხნის პროფკავშირის კომიტეტმა და ადმინისტრაციამ შეიძინეს საჭირო სპორტული ინვენტარი, განამტკიცეს სპორტული ბაზა: შექმნილია ნაგებობათა კომპლექსი მძლეოსნებისა და ტანმოვარჯიშეებისთვის, აშენდა სპორტული დარბაზი, მოწყობილია ერთი კალათბურთისა და ორი ფრენბურთის მოედანი, შენდება ქარხნის სტადიონი.

ფიზკულტურელთა რიგები ქარხანაში შეუნელებლად იზრდება. ამჟამად ყოველი მეორე მუშა სისტემატურად ვარჯიშობს სპორტის რომელიმე სახეობაში. ქარხნის გუნდები წარმატებით მონაწილეობენ საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებში. მაგალითად, ვ. ნესტერენკო ოლქის ჩემპიონი გახდა 10 ათას მეტრზე რბენაში. პოლტავის მანქანათსაშენი ქარხნების სპარტაკიადაში სხვადასხვა სახეობაში საპრიზო ადგილები დაიკავეს მტვიფრავმა ვ. კოლესნიკმა, ოსტატმა ვ. ანდრუსენკომ, კონტროლიორმა ტ. გონჩაროვამ, ზეინკალმა ლ. პანადირმა და სხვებმა. ფეხბურთელებმა, რომელთაც ზეინკალი კ. პერევერზევი ავარჯიშებს, შარშან სარაიონო თასი მოიპოვეს, ამ გაზაფხულზე კი სეზონის გახსნის პრიზი დაისაკუთრეს.

ამჟამად ქარხანაში მეექვსედ ტარდება სპარტაკიადა „შრომისა და დღეგრძელობისთვის", რომელშიც სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანები მონაწილეობენ. ყველა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივებს აბარებს.

ლუბენსკის გამომთვლელი მანქანების ქარხანას საგეგმო დავალებებს აძლევენ სამი მაჩვენებლის მიხედვით: პროდუქციის რეალიზაცია, მოგება და ხელფასის ფონდი. ფიზკულტურის განვითარებისთვის დავალებებს არ იძლევიან, მაგრამ ლუბენსკელებმა თვითონვე განსაზღვრეს ეს ვალდებულებანი და სოციალური განვითარების გეგმაში ჩაწერეს. გეგმებს კი აქ სერიოზულად ეკიდებიან: რასაც იკისრებენ, აუცილებლად ასრულებენ!

ი. შჩერბანი.
(საკდესის კორ.).

პოლტავა.



50

# უმცროსები უკეთ ასპარეზობდნენ

მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს მძლეოსანთა III ადგილი შემთხვევითი რომ არ იყო, ეს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული რესპუბლიკური საუწყებო სპარტაკიადის შედეგებმაც დაადასტურა. სარბიელზე მოზარდები გამოვიდნენ. ოღონდ ისინი ამჯერად ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ: 1950-53 და 1954-55 წლებში დაბადებულთა გუნდები პირველობისთვის ცალ-ცალკე იბრძოდნენ. სპორტსმენებმა ორივე ასაკში უმეტესად დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს. განსაკუთრებით უმცროსები არიან ქების ღირსნი.

კოლექტივებს ჩათვლას ის მძლეოსნები აძლევდნენ, რომლებიც უფროსი ასაკის ჯგუფში პირველი, ხოლო უმცროსებში მეორე თანრიგის ნორმატივის შესაბამის შედეგებს აჩვენებდნენ. და აი, სწორედ აქ იმარჯვეს უმცროსებმა: ჩათვლა ყველა პრიზიორმა მიიღო, თანაც, 16 პირველი თანრიგის შედეგი მოიპოვეს.

უფროსებმა 27 მაღალი თანრიგების შედეგი აჩვენეს. უროს ტყორცნაში დინამოელი ჯ. ფხაკაძის მაჩვენებელი (72,56 მ.) მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს 10 სანტიმეტრით ჩამორჩება და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგია. მაგრამ იყო სახეობები, რომლებშიც გამარჯვებულებიც კი ამაოდ დაშვრნენ—ჩათვლა ვერ მიიღეს. ასე იყო საერთოდ ბირთვის კვრაში, გოგონათა სამივე სპრინტერულ დისტანციაზე, შუბისა და ბადროს ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომაში.

იუნიორთა შეჯიბრებაში უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს 800 და 1500 მეტრზე მორბენლებმა და ათჭიდელებმა. ამ სახეობებში პირველი თანრიგის ნორმატივს ოთხ-ოთხმა საუკეთესომ გადააჭარბა, 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — სამივე პრიზიორმა, 100 მეტრზე რბენასა და ჭოკით ხტომაში — ორ-ორმა მონაწილემ.

იუნიორებიდან განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდნენ „ბურევესტნიკის" გუნდის წევრები გ. შოშიაშვილი და ზ. ქავზინაძე, აგრეთვე, „კოლმეურნის" მძლეოსანი გ. ხარაზიშვილი, რომლებმაც 800 და 1500 მეტრზე რბენაში ორივეჯერ პირველი თანრიგის ნორმატივს გადააჭარბეს. მათ არც უმცროსი ასაკის ჯგუფში მოასპარეზე ი. ვაშალომიძე („ბურევესტნიკი") ჩამორჩა — 200 და 400 მეტრზე რბენა პირველი თანრიგის შედეგებით მორიგო.

შუბის ტყორცნაში შედეგებს თანდათან ზრდის ნ. ზვიადაურიც („ბურევესტნიკი"). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა იგი მარტო იუნიორებში კი არა, უფროსებშიც საუკეთესო მტყორცნელია, თუმცა საქართველოს რეკორდამდე კიდევ ბევრი უკლია.

უმცროსი ასაკის ჭაბუკებიდან უნდა გამოვყოთ დ. მელაძე („ბურევესტნიკი"), რომელმაც 100 მეტრი უფრო სწრაფად (10,7 წამში) გაირბინა, ვიდრე მისმა უფროსმა კოლეგამ, სპარტაკელმა ა. ვიუნოვმა — 11,0.

ტურნირში „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „განთიადის", „დინამოს", „სპარტაკის", „კოლმეურნის" და „შრომითი რეზერვების" კოლექტივები ჩაებნენ. სამწუხაროდ, გუნდების ტექნიკური დონე ძალზე უთანაბრო იყო. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა „შრომითი რეზერვების" სპორტსმენთა მომზადება. მათ ვერც ერთი ასაკის ჯგუფში, ვერც ერთ სახეობაში ვერ მიიღეს ჩათვლა. მეტოქე კოლექტივების მომზადების დონის ნათელ სურათს იძლევა საერთო გუნდური ტურნირის შედეგი. უფროს ასაკში ადგილები ასე განაწილდა: „ბურევესტნიკი" — 62 ქულა, „დინამო" — 43, „სპარტაკი" — 40, „კოლმეურნე" — 30, „განთიადი" და „ლოკომოტივი" — 6-6, „შრომითი რეზერვები" — 0. უმცროსი ასაკი: „ბურევესტნიკი" — 174 ქულა, „სპარტაკი" — 115, „კოლმეურნე" — 60, „დინამო" — 53, „განთიადი" — 39, „ლოკომოტივი" — 32, „შრომითი რეზერვები" — 0.

შეჯიბრების მესამე დღეს ტურნირში უკონკურსოდ ჩაებნენ გფრ-ის მძლეოსნები, რომლებიც ბაქოდან (იქ 26 კომისრის მემორიალში საასპარეზოდ იყვნენ) თბილისს ეწვივნენ. გერმანელი სპორტსმენების მონაწილეობამ ჩვენების დაინტერესება უფრო გაზარდა და მაჩვენებლებიც უკეთესი გამოდგა, თუმცა მასპინძლებს სტუმრები ყველა სახეობაში სჯობდნენ. მაგალითად, 400 მეტრზე მორბენალ გოგონათა შეჯიბრებაში სამივე სტუმარმა უკეთესი დრო აჩვენა, ვიდრე საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო ტ. ოსიპოვამ — 58,5. სტუმართაგან უძლიერესის ე. კლიუტეს შედეგია 57,2. ვაჟთა შორის ამავე მანძილზე რბენაში ფინიშთან პირველი პ. შლინელი მივიდა — 49,6. თანამემამულე კ. ველმანი მას 0,1 წამით ჩამორჩა. ი. ვაშალომიძემ („ბურევესტნიკი") კი, რომელიც სტუმრებთან მხარდამხარ იბრძოდა, რბენა 50,6 წამში დაამთავრა და უმცროს ასაკში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. 110 მეტრზე თარჯრბენში გერმანელთა შორის საუკეთესო გ. ბერკეს შედეგი (14,0 წამი) სპორტის ოსტატის ნორმატივია. მასპინძელთა შორის ორივე ასაკში უძლიერესებმა ზ. ალხანაიძემ („კოლმეურნე", პირადი) და ბ. ვეშაგურიძემ („ბურევესტნიკი") ერთნაირი დრო (15,4) აჩვენეს...

ჩვენები სტუმრების დამარცხებას რომ ვერ შეძლებდნენ, ეჭვი არ გვეპარებოდა, ვინაიდან ჩამოსულები გფრ-ის ნაკრების წევრები არიან. მაგრამ დასანანი ის იყო, რომ მასპინძლები გერმანელებს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ (400 მეტრზე ვაჟთა რბენის გარდა).

საქართველოს სპორტსმენებს წლეულს კიდევ ერთი საპასუხისმგებლო ტურნირი ელით — ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით ასპარეზობა. რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელობას იქ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება, თანაც იმედოვნებენ, რომ ბაქოში წლევანდელ ბოლო სტარტებში საქართველოს მოზარდი მძლეოსნები უკეთესი შედეგებისთვის იბრძოლებენ და მაღალთანრიგოსანთა რიგებსაც შეავსებენ.

ო. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: დინამოელი ჯ. ფხაკაძე უროს სატყორცნად ემზადება; უმცროსი ასაკის გოგონათა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ლ. არლუნი („დინამო") ასპარეზობისას; 400 მეტრზე მორბენალი ვაჟები ფინიშთან. წინ არიან (მარჯვნიდან) პ. შლინელი, ი. ვაშალომიძე და კ. ველმანი.

ავტორის ფოტოები.







# მომავალი ჩემპიონების ახალი ბინები

ვოლგისპირა ქალაქ ტუტაევის ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლა ახალ ბინაში გადავიდა. მშენებლებმა მას გადასცეს ახალი ფართო, ნათელი შენობა, რომელიც კარგად ეხამება ძველი პარკის ფონს. ახლა სკოლის განკარგულებაშია დიდი დარბაზი კალათბურთელების, ფრენბურთელებისა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებისთვის. პატარა დარბაზში ივარჯიშებენ აკრობატები, ძალოსნები, მოჭიდავეები, მოკრივეები. კარგადაა მოწყობილი მეთოდური კაბინეტი. აქვთ მწვრთნელების, სამედიცინო სამსახურის ოთახები.

ახალი სპორტის სახლის გახსნაზე შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელები, მოსწავლეები, ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები. აქ უყვართ სპორტი. ტუტაევის რაიონს მილებული აქვს იაროსლავლის მშრომელთა დეპუტატებისა და პროფკავშირთა საოლქო საბჭოების გარდამავალი წითელი დროშა კარგი ფიზკულტურული მუშაობისთვის. ამჟამად რაიონში ფართოდაა გაშლილი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

ტუტაევის სპორტულ სკოლაში დაახლოებით 500 მოსწავლე მეცადინეობს. ესენი ადგილობრივი საფეიქრო კომბინატის, სადიზელო აგრეგატების საწარმოების, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან.

სკოლის ბევრმა აღსაზრდელმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები „დიდ სპორტში". მათ შორისაა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული გუნდის წევრი, მოთხილამურე ნ. ზიაბლიკოვი. ბოლო სამი წლის მანძილზე იგი წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებებში ბულგარეთში, გდრ-ში, იტალიაში. კარგი მოთხილამურეები დადგნენ სკოლის აღსაზრდელები: სპორტის ოსტატი ე. ზუბკოვი, ამჟამად იაროსლავლის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, იაროსლავლის სამოტორო ქარხნის მუშა ვ. ბაზანოვი და სხვ.

ი. კუდრიაშოვი.

იაროსლავლი.

* * *

ოდესის ერთ-ერთ უდიდეს პარკ „პობედაში" დამთავრდა ჭაბუკ სპორტსმენთათვის ხელოვნური საციგურაოს მშენებლობა. ყინულის სარკე 270 კვადრატულ მეტრს მოიცავს.

დაიწყო 4-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება ფიგურული ციგურაობის სკოლაში, ადგენენ ჰოკეის საბავშვო გუნდებს.

ოდესელებს პირველად მიეცათ საშუალება, რომ ზამთრის სახეობებში ზაფხულშიც ივარჯიშონ.

* * *

ბუხარის ბავშვთა საცხენოსნო-სპორტულ სკოლაში პირველი მეცადინეობები ჩატარდა. ორმოცდაათმა ჭაბუკმა ცხენები შეკაზმა.

ახალი სკოლის კომპლექსში შედის საკონკურო მოედანი, მანეჟი, საჯინიბო.

ბოლო წლებში საცხენოსნო სპორტი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბუხარის ოლქის სოფლის სპორტსმენთა შორის. მუშაობს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა. სასოფლო სპორტსაზოგადოება „ფახთაქორის" რიგებში 500-ზე მეტი ცხენოსანია. საცხენოსნო სპორტის სექციები შექმნილია ყარაყულის, გიჯუვანის, ბუხარის რაიონებში.

ბუხარა.

# სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

## ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განსაზღვრა საკავშირო ჩემპიონატის გადატანილი მატჩების თარიღები:

**16 ოქტომბერი.** „ტორპედო" — „არარატი".

**25 ოქტომბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" — „ყაირათი".

**8 ნოემბერი.** „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი).

**12 ნოემბერი.** „კარპატი" — „დინამო" (კიევი), „დინამო" (მოსკოვი) — „არარატი", „დნეპრი" — „სპარტაკი".

**16 ნოემბერი.** „სპარტაკი"—„ზარია", „დინამო" (კიევი) — ასკ (როსტოვი).

**20 ნოემბერი.** „დინამო" (კიევი) — „ზარია", „ნეფთჩი" — „სპარტაკი".

## აუტსაიდერები ქულებს აგროვებენ

7 ოქტომბერს შედგა მორიგი კალენდარული შეხვედრები. ჩვენ პირველ ყოვლისა დაგვაინტერესა საქართველოს იმ გუნდების მატჩებმა, რომლებიც სატურნირო ცხრილის სახიფათო ზონაში იმყოფებიან. ასეთები არიან ლანჩხუთის „გურია" და რუსთავის „მეტალურგი".

### ლანჩხუთი

„გურიამ" თავის მინდორზე მიიღო კურსკის „შრომითი რეზერვების" გუნდი, რომელიც ზონის სატურნირო ცხრილში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა.

მიმდინარე გათამაშების პირველ წრეში ლანჩხუთელები კურსკში დამარცხდნენ (1:2) და ეს გარემოება მათ კიდევ უფრო აიძულებდათ ეთამაშათ მთელი ძალითა და მონდომებით. უკვე პირველმა წუთებმა ცხადყო, რომ „გურია" სერიოზულად იყო განწყობილი სარევანშოდ. მასპინძლებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში და უკვე მე-10 წუთზე მეკარე სტარკოვთან პირისპირ გასულ კვიტაიშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა და კუთხურზე მოიგერია ბურთი. შემდეგ სტარკოვმა ძნელი ბურთი აიღო აბაიშვილისგან, 35-ე წუთზე კი სიხარულიძე — კვიტაიშვილის კომბინაციის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა.

პირველ წარმატებას ლანჩხუთელებმა 37-ე წუთზე მიაღწიეს: სიხარულიძემ კარგად მიაწოდა ბურთი გოლოდკოს და ანგარიშიც გაიხსნა.

მასპინძელთა იერიშები გრძელდებოდა შესვენების შემდეგაც. 72-ე წუთზე სიხარულიძემ წერტილი დაუსვა ლანჩხუთელთა გამარჯვებას — 2:0.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

### რუსთავი

ადგილობრივ „მეტალურგს", რომელსაც მძიმე სატურნირო მდგომარეობა აქვს, მეტოქედ ჰყავდა ზონის ლიდერთა ჯგუფის წარმომდგენელი—ბათუმის „დინამო". მეტალურგები ახლა ყველა ღონეს ხმარობენ საქმის გამოსასწორებლად და ამ მატჩშიც შეძლეს 2 ქულის აღება.

ანგარიში გახსნა ბათუმელმა რამიშვილმა, ხოლო ტაიმის დასასრულამდე ყაულაშვილმა მიქაშავიძის კუთხური მოწოდების შემდეგ თავური დარტყმით გაქვითა გოლი — 1:1.

მასპინძლები შესვენების შემდეგ დააწინაურა ალადაშვილმა, მაგრამ 75-ე წუთზე კვიტაიშვილის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის „მეტალურგის" კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა სირბილაძემ.

მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, როცა ალადაშვილის დარტყმამ მიზანს მიაღწია და გამარჯვება რუსთაველ ფეხბურთელებს დარჩათ — 3:2.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის „დინამოს" მოთამაშე გიორგიადი უწესო საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს.

რ. ბაბრიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## II ლიგა III ზონა

### ფოთი

ადგილობრივი „კოლხეთისა" და ბელგოროდის „სალუტის" თამაში კარგა ხანს მიმდინარეობდა მინდვრის შუაგულში, გაურთულებლად. ანგარიში გაიხსნა 33-ე წუთზე: ჭედიამ მიიღო არზიანის გადაცემა, სწრაფად გავიდა მოპირდაპირე მცველთა შორის და ზუსტად დაარტყა კარში. ათიოდე წუთის შემდეგ კი „კოლხეთის" მეკარე იორამაშვილის შეცდომა გუნდს საპასუხო გოლად დაუჯდა.

ფოთელმა ფეხბურთელებმა ტერიტორიული უპირატესობას მხოლოდ მეორე ტაიმში მიაღწიეს და ჭედიამ გადამწყვეტი გოლიც გაიტანა— 2:1.

„კოლხეთის" თავდამსხმელებს ამის შემდეგაც ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა.

ზ. ბასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „დინამო" (სოხუმი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 1:3, „დინამო" (ბრიანსკი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 0:1, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 1:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „სპარტაკი" (ორიოლი) 1:0.

## სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა თავის მორიგ სხდომაზე მოისმინა ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის ა. პონომარიოვის მოხსენება ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ნაკრების მონაწილეობის შედეგებსა და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებისთვის მზადების შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

აღინიშნულ იქნა, რომ ნაკრების მწვრთნელებმა შეცდომები დაუშვეს გუნდის დაკომპლექტებისას, აგრეთვე, მოსამზადებელი წვრთნის პერიოდში. ხაზი გაუსვეს, რომ არ გვყავდა ნამდვილად ბრძოლისუნარიანი, მეგობრული კოლექტივი. სეზონის მანძილზე ნაკრებში აიყვანეს 43 ფეხბურთელი, მაგრამ ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს იმ ბირთვის შეკვრა, რომლის გარშემოც თავს მოუყრიდნენ ახალგაზრდა კანდიდატებს. აღინიშნა ცალკეულ მოთამაშეთა სუსტი ფიზიკური და სანებისყოფო მომზადება. პრეტენზიები გამოითქვა საკლუბო გუნდების მწვრთნელთა მიმართაც, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ფეხბურთელთა სათანადო ფიზიკური მომზადება.

პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა ვერ შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანები და არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა ოლიმპიურ თამაშებში.

ფედერაციის სასწავლო-მეთოდურ და მწვრთნელთა საბჭოებს დაევალათ ანალიზი გაუკეთონ ამ წარუმატებლობას და თავიანთი დასკვნები განიხილონ ოსტატთა გუნდების მწვრთნელთა გაფართოებულ სხდომაზე.

ა. პონომარიოვმა პრეზიდიუმს წარუდგინა კანდიდატთა სია საფრანგეთისა და ირლანდიის გუნდებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის: მეკარეები — ე. რუდაკოვი, ვ. პილგუი; მცველები — რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა, ვ. კაპლიჩნი, ე. ლოვჩევი, ს. კუზნეცოვი, ს. ოლშანსკი; ნახევარმცველები — ვ. მუნტიანი, ვ. ფედოტოვი, ვ. კოლოტოვი, ვ. კუზნეცოვი; თავდამსხმელები — გ. ევრიუჟიხინი, ო. ბლოხინი, ლ. იშტოიანი, ა. პუზაჩი, ვ. ონიშჩენკო, ვ. სემიონოვი.



„დირიჟორი"...

მ. დათიკაშვილის ფოტოეტიუდი.

## პირველი სტარტები

ბურგასი, 8 ოქტომბერი. დღეს აქ და ბულგარეთის მეორე საკურორტო ქალაქ ვარნაში დაიწყო ევროპის კალათბურთელ ქალთა XIII ჩემპიონატი.

პირველ ტურში ყურადღების ცენტრში იყო ევროპის ათგზის ჩემპიონის — სსრ კავშირის ნაკრების თამაში, რომელსაც სპეციალისტები წლეულსაც წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. საბჭოთა კალათბურთელებმა პოლონელებთან შეხვედრის პირველივე ტაიმში მიაღწიეს გადამწყვეტ უპირატესობას — 38:12. შესვენების შემდეგ ჩემპიონმა ერთხანს სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა, მატჩის დამთავრება კი ძირითად ხუთეულს მიანდო. საბჭოთა სპორტსმენებმა მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს — 82:46.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა იუგოსლავიისა და იტალიის გუნდების შეხვედრა. იტალიელებმა მოულოდნელად შეუპოვარი მეტოქეობა გაუწიეს მათზე აშკარად ძლიერ მეტოქეს. შეხვედრის ბედი მატჩის მიწურულს გადაწყდა და იუგოსლაველებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა საფინალო სასტვენის ხმა გაისმა — 59:55 (28:20). სპეციალისტების აზრით, წაგების მიუხედავად იტალიელებმა ჩინებულად ითამაშეს.

რუმინელებმა მწვავე ბრძოლაში აჯობეს უნგრელებს — 96:53 (26:29).

ვარნაში დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია ევროპის ბოლო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა — საფრანგეთის ნაკრებმა. მან ჰოლანდიის გუნდს სძლია — 64:37 (32:18).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ბულგარეთი — ავსტრია 70:39 (42:21), ჩეხოსლოვაკია — გდრ 68:60 (38:32).

ვარნაში ჩემპიონატის საზეიმო გახსნას დაესწრო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტი ლორდი კილანინი.

კალათბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## სპორტული კალეიდოსკოპი-72

● ესენტუკი, 8 ოქტომბერი. ამ ქალაქის მახლობლად რუსეთის ფედერაციის უძლიერესმა მძლეოსნებმა ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის" პრიზები გაითამაშეს სპორტულ სიარულში. 50 კილომეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა კ. აპალიასმა — 4:08.31. გამარჯვებულს წუთითა და 2 წამით ჩამორჩა ივანოვოელი ე. ტორგოვი. 20-კილომეტრიანი მანძილის ფინიშთან პირველი მივიდა ჩელიაბინსკელი ვ. დანილიუკი, ხოლო 10-კილომეტრიან დისტანციაზე სპორტულ სიარულში მორდოვეთის წარმომადგენელმა ვ. ფროლოვმა აჯობა ყველას. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ივანოვოს ოლქის ნაკრებმა.

● ოდესა, 8 ოქტომბერი. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მძლეოსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში ავღანეთის, ბულგარეთის, გდრ-ის, ინდოეთის, ირანის, ჩეხოსლოვაკიისა და სომალის რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ერთ-ერთი ოქროს მედალი ინდოელმა სტუმარმა შრი რამ სინგმა მოიპოვა, როცა 800 მეტრზე რბენაში აჯობა ყველას — 1.49,6. საბჭოთა სპორტსმენთაგან მაღალ შედეგებს მიაღწიეს ლ. მურავიოვამ (ბადრო — 59,02 მ) და სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. ბესფამილნაიამ (100 მ — 11,4). ვაჟთა შორის ბადრო ყველაზე შორს საბჭოთა არმიელმა ვ. გუტორმა ტყორცნა — 55,43 მ.

● ლენინგრადი, 8 ოქტომბერი. ტურკუელმა მოსამსახურემ, 26 წლის ა. რისტიმიაკიმ ყველას აჯობა ტრადიციულ გარბენში მარშრუტით: პუშკინი — ლენინგრადი. 30-კილომეტრიანი მანძილი ფინელმა მძლეოსანმა 1 საათში, 33 წუთსა და 30,4 წამში გაირბინა. სასახლის მოედანზე გამართულ ფინიშთან მეორე იყო მოსკოველი ვ. ჩუდინი — 1:33.57,0. ამ საინტერესო შეჯიბრების სტარტზე 500-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. გარბენში პირველად მონაწილეობდა ქალი — ლენინგრადის № 3 სახლმშენებელი კომბინატის მეამწე, 37 წლის ქ. ეფიმოვა. მან 15 კილომეტრი ირბინა.

## უნივერსიტეტი გზაში

მუკაჩოვო, 8 ოქტომბერი. დღეს დროგობიჩიდან მუკაჩოვომდე 184 კილომეტრი — სამი ზეკარი გადაიარა საათში 38,7 კმ სიჩქარით საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის ჭრელმა ქარავანმა. ცრიდა. ბევრი ველოსიპედისტი თავგამოდებით ცდილობდა მეტოქეთა ჩამოტოვებას მთაშიც და თავბრუდამხვევ დაღმართებშიც, მაგრამ წინ მაინც ვერავინ გაიჭრა: ადგილობრივი „სპარტაკის" სტადიონის წიდოვან ბილიკზე რბოლის თითქმის ყველა მონაწილე ერთად შევიდა.

საუკეთესო აღმოჩნდა კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი (მისი შედეგია 4:45.16 უზონიფიკაციოდ), რომელმაც წამით ჩამოიტოვა კიშინიოველი ი. მოსკალიოვი და მუკაჩოველი გ. ჩაპლიგინი. ველოტურის ლიდერი, რიგელი რ. კალნენიექსი ფინიშთან მეოთხე იყო და ლიდერობა შეინარჩუნა.

მეწინავეთა შორის იყო „მრავალდღიანის" ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 17 წლის ტაშკენტელი მ. პერვეევიც, რომელმაც ამ ერთი თვის წინ დაიყოლია თავისი მწვრთნელები საკავშირო რბოლაში მონაწილეობის ნებართვაზე. უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი სტუდენტი მრავალდღიანი რესპუბლიკური ველორბოლის ვერცხლის პრიზიორია, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატში უფროსთა შორის ასპარეზობისთვის ექიმის სპეციალური ნებართვა და საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილება გახდა საჭირო. ჭაბუკი ძალიან გონივრულად, ტაქტიკურად წარმართავს რბოლას და ოსტატობას, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გზაში ეუფლება. ეს შეჯიბრება მისთვის ნამდვილი უნივერსიტეტია.

გუნდური ჩათვლის ლიდერებმა — კუიბიშეველებმა დღეს საშუალედო და სამთო ფინიშები მოიგეს (ვ. კირიჩენკო და ა. ვოდიანიკოვი). წარმატება მოიპოვა ტაშკენტელმა ვ. გრაჟდანკინმაც.

ა. პერეპელიცა.
(საკდესის სპეც. კორ.).

* * *

### ტექნიკური შედეგები

პირადი ჩათვლა 10 ეტაპის ჯამში. 1. კალნენიექსი — 29:51.05, 2. ნ. სიტნიკი (კუიბიშევი) — 29:55.52, 3. გუსიატნიკოვი — 29:58.52.

გუნდური ჩათვლა 10 ეტაპის ჯამში: 1. კუიბიშევი — 89:46.28, 2. ლატვია — 90:02,37, 3. უკრაინა — 90:03.56.

ჩვენი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, კადრების განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.